585
1959

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 11 (98) დეკემბერი 1959 წელი

## შინაარსი

7832

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

1. ბრძანებულება ლაგოდეხის რაიონში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

2. ბრძანებულება გორის რაიონის ტინისხიდის სასოფლო საბჭოდან სოფლების დიდი გორიჯვრისა და პატარა გორიჯვრის გამოყოფისა და მათი სკრის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

3. ბრძანებულება ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ გ. პ. ბარაჩისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დარკვეთი — საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე.

5. ბრძანებულება პროფესორ დ. ნ. შველიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩუმათელეთი—ხევი—ძირულის საუღელტეხილო გზატკეცილის რეკონსტრუქციაში.

7. ბრძანებულება პოეტ-აკადემიკოს გ. ნ. ლეონიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

### 1. ბრძანებულება ლაგოდეხის რაიონში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ლაგოდეხის რაიონის ლელიანის სასოფლო საბჭოს სოფელი ონანაური და მიეკუთვნოს აფენის სასოფლო საბჭოს, ხოლო ულიანოვკის სასოფლო საბჭოს — სოფელი ერეთისკარი და მიეკუთვნოს ვარდისუბნის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1959 წლის 11 დეკემბერი.

### 2. ბრძანებულება გორის რაიონის ტინისხიდის სასოფლო საბჭოდან სოფლების დიდი გორიჯვრისა და პატარა გორიჯვრის გამოყოფისა და მათი სკრის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და გამოეყოს ტინისხიდის სასოფლო საბჭოს სოფლები—დიდი გორიჯვარი, პატარა გორიჯვარი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის სკრის სასოფლო საბჭოს.

2. ნება დაერთოს ტინისხიდის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს განაგრძოს მუშაობა საბჭოების ახალ არჩევნებამდე არჩევნების დებულებით გათვალისწინებულ მინიმუმზე ნაკლები დეპუტატებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი
1959 წლის 11 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბრძანებულება ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ გ. პ. ბარაჩისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან ოთხმოცი წლისთავისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკაში მეთევზეობის მეურნეობის შესწავლისა და განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭოს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს გერმანე პავლეს ძე ბარაჩს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 14 დეკემბერი.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დარკვეთი — საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე

დარკვეთი—საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მშენებლობის მონაწილენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. აბრამიშვილი ბიკენტი დომენტის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მუშა
2. გელდავაძე მიხეილ სტეფანეს ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის უფროსი
3. გორელოვი ვასილ ნიკოლოზის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მებეტონეთა ბრიგადირი
4. ენინა მარიამ ვასილის ასული — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მებეტონეთა ბრიგადირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ვოლოშინი სტეფანე ტროფიმეს ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის უფროსი ოსტატი

6. კაპანაძე მიხეილ ერმინეს ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მებეტონეთა ბრიგადირი

7. კუპატაძე ევგენი არმენის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ელექტროშემდუღებელი

8. კურცხალია გრიგოლ დიმიტრის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხიდების სამშენებლო მატარებელ № 454 დარკვეთის უბნის სამუშაოთა მწარმოებელი

9. ნადირაძე გალაქტიონ თომას ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის უფროსი ოსტატი

10. სვანიშვილი ნიკოლოზ ვასილის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო საპროექტო-საგამოკვლევო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი

11. სისვაძე ნიკოლოზ ილარიონის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ხუროთა ბრიგადირი

12. სიხარულიძე ჯულა ისაკის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მთავარი ინჟინერი

13. ტუღუში შალვა ნიკიფორეს ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მთავარი ინჟინერი

14. შვიდკი ალექსი პორფილეს ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ექსკავატორის მემანქანე

15. ჯაში გიორგი კარპეზის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო საპროექტო-საგამოკვლევო ინსტიტუტის ინჟინერი, დარკვეთი—საჩხერის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის ავტორი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 18 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**5. ბრძანებულება პროფესორ დ. ნ. შვედოვის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

მუსიკალური ხელოვნების დარგში მოღვაწეობის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი დიმიტრი ნიკოლოზის ძე შვედოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 19 დეკემბერი.

**6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩუმათელეთი—ხევი—ძირულის საუღელტეხილო გზატკეცილის რეკონსტრუქციაში**

ჩუმათელეთი—ხევი—ძირულის საუღელტეხილო გზატკეცილის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბანცაძე დიმიტრი ივანეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანის მძღოლი
2. ბლიაძე შოთა პავლეს ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ავტომეგრეიდერე
3. გელაშვილი ნიკოლოზ ლუკას ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის კალატოზი
4. გველესიანი შალვა პორფილეს ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ავტომანქანის მძღოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გრიგორიანი ზორჟინ მარტიროსის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კალატოზთა ბრიგადირი

6. გუგუშვილი გიორგი სერაფიონის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანის მძღოლი

7. დარბაიძე დიმიტრი არჩილის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ავტომანქანის მძღოლი

8. დევნოსაძე მუხრან ალექსანდრეს ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ბრიგადირი

9. დეკანოსიძე ნოე დომენტის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი

10. დუნდუა ივანე ლევანის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 40 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის გზის ოსტატი

11. ზურაბაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ავტომანქანის მძღოლი

12. თოდაძე სიმონ მელიტონის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მთავარი ინჟინერი

13. ილურიძე მიხეილ დავითის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის სამუშაოთა მწარმოებელი

14. კიკნაძე კუკური დავითის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მებულდოზერე

15. კილაძე იაკობ სიმონის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ავტომანქანებისა და საგზაო მექანიზმების სარემონტო ბრიგადის ბრიგადირი

16. კრავცოვი ივანე მაქსიმეს ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის ექსკავატორის ბრიგადირ-მემანქანე

17. კურტანიძე ვლადიმერ მელიტონის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის უფროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18. კუჭაძე გიორგი აბელის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მებულდოზერე

19. ლაპიაშვილი მალხაზ გიორგის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი

20. მალაღურაძე შოთა მელიტონის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის № 24 სათავო სარემონტო მატარებლის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი

21. მაჭავარიანი გივი ერმალოზის ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების სამშენებლო №454 მატარებლის ელექტროშემდუღებელი

22. ნაზარეტიანი ჰაიკ ოგანეზის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კალატოზი

23. ნიკოლაიშვილი პლატონ პარმენის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 40 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი

24. ნიქარაძე ვახტანგ გიორგის ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების სამშენებლო № 454 მატარებლის უფროსი

25. ნიორაძე ჯუმბერ გიორგის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ელექტროშემდუღებელი

26. ნოზაძე ქრისტეფორე ილარიონის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი

27. პილოვოვი ვასილ თევდორეს ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 40 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მებეტონე

28. პილოსიანი ხაჩატურ ვართანის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ბრიგადირი

29. ქორქოლაძე ვლადიმერ გიორგის ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი

30. ქუქუნაძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის № 24 სათავო სარემონტო მატარებლის უფროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

31. სააკიანი სურენ ავეტისის ძე — „საქფეთქმრეწვის" № 10 უბნის უფროსი

32. სარალიძე ვარლამ გიორგის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მექანიკოსი

33. ულუმბელაშვილი აკაკი ნიკოლოზის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს N 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ხურო

34. ქველაძე ავთანდილ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი

35. ქურდაძე თენგიზ სერგის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის საავტომობილო პარკის დისპეტჩერი

36. ყიფიანი ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის სამუშაოთა მწარმოებელი

37. ცქიტიშვილი ოთარ იოსების ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების სამშენებლო № 454 მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი

38. ჰანკვეტაძე ვერმოგენ მიხეილის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 25 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის გზის ოსტატი

39. ჰანკოტაძე ბერდო ვასილის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის მექანიკოსი

40. ხაჩიძე შოთა მიხეილის ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 5 საგზაო-სამშენებლო რაიონის ნორმადარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 22 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 7. ბრძანებულება პოეტ-აკადემიკოს გ. ნ. ლეონიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძეს საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წლის 22 დეკემბერი.